ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ო ქ მ ი № 3

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისა

1 მარტი

2021 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-IV მოწვევის საკრებულოს

წევრთა სარეგისტრაციო ს ი ა

1 მარტი, 2021 წელი.

სხდომა N 3

10[00] საათი.

1. ნუგზარ ჯამბურია -
2. კობა ძიძიგური -
3. მანანა სირბილაძე -
4. შალვა არზუმანიანი -
5. ბადრი შენგელია -
6. მერაბ უღრელიძე ✓ -
7. გიორგი ლეჟავა -
8. ტარიელ დვალიშვილი -
9. რაჟდენ ტორონჯაძე -
10. ვაჟა სტურუა -
11. ზაზა ადეიშვილი -
12. კოტე ნაცვლიშვილი -
13. დავით ამაღლობელი -
14. გრიგოლ ჩიგოგიძე -
15. ხვიჩა ფანცულაია -
16. ტარიელ თევზაძე -
17. ილია მჟავია -
18. ვახტანგ დუნდუა -
19. ვაჟა კოხრეიძე -
20. გოჩა არველაძე ✓ -
21. ბაია იმესაშვილი -
22. ავთანდილ ტორონჯაძე -
23. ლიზა კრავეიშვილი -
24. ნონა გოგისვანიძე -
25. გრიგოლ დარჯანია -
26. ემზარ შუბლაძე ✓ -
27. მამუკა ბიბილეიშვილი ✓ -
28. ავთანდილ თადუმაძე ✓ -
29. დავით ნიკოლეიშვილი -
30. ავთანდილ სტურუა -
31. ალექსანდრე ჯვარშეიშვილი ✓ -
32. კამო კანდელაკი -
33. აკაკი მინაშვილი. -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ო ქ მ ი N 3

ქ. სამტრედია. 1 მარტი, 2021 წელი.

2021 წლის 1 მარტს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი (ონლაინ ჩართვა), კოტე ნაცვლიშვილი, დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე, ილია მჟავია, ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), ავთანდილ სტურუა, კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"-ს , ხელმძღვანელი, კობა ბიბილეიშვილი.
2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის" ხელმძღვანელი, ქეთევან მეფარიშვილი.
3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე;
4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტი, ნათია იოზაძე.
5. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე"-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.
6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას - ,,მოგესალმებით მეგობრებო. დღეს გახლავთ 2021 წლის 1 მარტი, გაზაფხულის პირველი დღე. წარმატების, ბედნიერების, ჯანმრთელობის და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს. ბატონო კოლეგებო, მე არ შემიძლია თქვენს სურვილებს არ შევეხმიანო, დარწმუნებული ვარ, რომ მხარს დამიჭერთ. დედის დღე, რვა მარტი, ქალთა საერთაშორისო დღე, დედა-ყველაზე ძვირფასი არსება, ყველა პრობლემის მომგვარებელი, მრავალი, კეთილი დღეები, დიდხანს გიმყოფოთ ღმერთმა. თქვენი სახელით, საკრებულოს სახელით, მივულოცავ ყველა დედას ამ ბრწყინვალე დღეს. დედის სითბო, დედის ალერსი, არ მოგკლებოდეთ და ქვეყნის გაერთიანების, სიკეთის, სიმბოლოდ, დედისადმი პატივისცემა, ვაჟკაცური, ქართული პატივისცემა, ყოფილიყოს ღირსეული მაგალითი ხვალინდელი დღისა, ჩვენი შვილების, ჩვენი მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდისათვის და კეთილი ცხოვრებისათვის. მიიღეთ გულწრფელი მილოცვა და ქალბატონებს ჩვენგან მოკრძალებული საჩუქარი - ყვავილების კონა".

გაცნობებთ, რომ ჩვენს სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთო ბატონები: ზაზა ადეიშვილი (დავით ნიკოლეიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანება"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/**მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემ სამუსიკო სკოლის" 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტ საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/**მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/**

ინფორმაცია. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის იანვრის თვის ბიუჯეტის შესრულებ ანალიზის შესახებ.

/**მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2021 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

/**მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე/**

სხვადასხვა

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (27 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ". სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/874, 19/02/2021წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომუნალური გაერთიანება''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. სახელფასო დანამატის მუხლი მცირდება 12,80 ათ.ლარით და შესაბამისად იზრდება თანამდებობრივი სარგო 12,80 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის" 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მუნიციპალიტეტის მერის N 37/924, 22/02/2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,გომის თემის სამუსიკო სკოლა''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა-დამონტაჟების ხარჯის მუხლი მცირდება 0.65 ათ. ლარით, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლი 0.40 ათ. ლარით, შესაბამისად იზრდება შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლი 1.05 ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის" 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის იანვრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/710 15/02/2021 წ. წერილობითი მიმართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულების ანალიზს, თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით. აღნიშნა, რომ იანვრის თვის ბიუჯეტი შესრულებულია 69,5%-ით.

დადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის იანვრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2021 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის 37/904, 22/02/2021 წ. წერილობითი მიმართვა, რომელიც ეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2021 წლის პროგრამის დამტკიცების საკითხს. აღნიშნული განკარგულების მიღების შედეგად, დამტკიცდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების მოწესრიგების", „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელ კორპუსებში მცხოვრებთა საერთო სარგებლობაში არსებული კომუნიკაციების რეაბილიტაციის", „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელ კორპუსებში მცხოვრებთა საერთო სარგებლობაში არსებული ეზოების ასფალტ-ბეტონის საფარით კეთილმოწყობის" და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადების მოწესრიგების" სამუშაოების პროგრამა.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2021 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ".

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: *ნუგზარ ჯამბურია.*

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

IV მოწვევის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი №3

შედგება 6 / ექვსი /
ფურცლისგან

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
თავმჯდომარე: ნუგზარ ჯამბურ

2021 წელი